548/4-1/21 2 26012021

548/4-1/21
26-01-2021

სიღნაღის მუნიციპალიტეტს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ ფარგლებში თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეისწავლა სამთავრობო პოლიტიკა, სტრატეგიები და ადგილობრივი პოლიტიკა ქალებისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით. თემატური მოკვლევის ანგარიშში წარმოდგენილი მიგნებები ეფუძნება მოკვლევის მრავალმხრივი ჩართულობით წარმართულ პროცესს, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც წერილობითი მოსაზრებები, ისე - საქართველოს პარლამენტში გამართული ორი ზეპირი მოსმენის შედეგები და პროფესიულ განათლებაზე უკვე არსებული კვლევები.

ანგარიშში მოცემულია ის დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ჩაერთონ პროფესიული განათლებისა და გადამზადების პროგრამებში. მიუხედავად იმისა, რომ პროფესიულ განათლებაში ჩართული ქალებისა და კაცების თანაფარდობა მკვეთრად განსხვავებული არ არის (ქალები - 43%), გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი. ერთი მხრივ, პროფესიული განათლების სფეროში კაცებისთვის მთავარი დაბრკოლებაა ის ფაქტი, რომ პროფესიული სასწავლებლის სტუდენტობა მათ არ ათავისუფლებს სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან და ამის გამო წვევამდელი ასაკის კაცები უარს ამბობენ პროფესიულ განათლებაზე (ან ფორმალურად არიან ჩარიცხული უმაღლეს სასწავლებლებში და პარალელურად ეუფლებიან პროფესიულ განათლებას), მეორე მხრივ, არსებული ბარიერების გამო ქალები არ ერთვებიან პროფესიული სწავლებისა და გადამზადების სისტემაში. აუცილებელია განვასხვავოთ 15-24 წლის გოგონებისა და ზრდასრული ქალების ჯგუფების განსხვავებული მდგომარეობა. ზრდასრული ქალებისთვის ბევრად ხელსაყრელია მომზადებისა და გადამზადების კურსები, მათი ხანგრძლივობიდან და დასაქმებისთვის საჭირო პროფესიის სწრაფად დაუფლების პერსპექტივიდან გამომდინარე.

მოკვლევის ფარგლებში გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად მუნიციპალიტეტების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური

ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.
3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.
4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას.
5. პროფესიული სასწავლებლებისთვის აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები), რათა უფრო მიმზიდველი გახდეს პროფესიული განათლება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“.** თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ.

თემატური მოკვლევის ჯგუფის მიზანი იყო სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაფინანსებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების ჩართულობისა და არსებული სამედიცინო მომსახურებების შესწავლა, რათა ხელი შეეწყოს შშმ ქალებისა და გოგონების ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. ამასთანავე, მოკვლევის ფარგლებში შშმ ქალებისა და გოგონების მიერ გამოვლინდა ის სერვისები თუ პროგრამები, რომლებიც მათი ავტონომიურობის მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მიღწევას შეუწყობს ხელს და უზრუნველყოფს მათი ჯანმრთელობის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას. მოკვლევის შედეგად შემუშავდა მთელი რიგი რეკომენდაციები და წინადადებები საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებისთვის. ასევე გამოიკვეთა მიგნებები ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების საქმიანობასა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით.

მოკვლევის ფარგლებში თქვენი უწყების მიმართ შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები:

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი სატრანსპორტო საშუალებები.
2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს

უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.
4. მუნიციპალური სპორტული დარბაზები მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.
5. ღია ცის ქვეშ არსებული მუნიციპალური სპორტული კუთხეები (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

მოცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია თვითოეული რეკომენდაციის შესრულების მიზნით რა ღონისძიებები განახორციელა უწყებამ თავისი კომპეტენციის ფარგლებში. ასევე გთხოვთ, მიუთითოთ ის რეკომენდაციები რომელთა შესრულებაც რელევანტური აღარ არის, ვინაიდან შესაბამისი არგუმენტაციის გათვალისწინებით არ არის მიზანშეწონილი ან/და სხვა ტიპის ღონისძიებებით უკვე მიღწეულია დასახული მიზანი. ასევე, გთხოვთ, გვაცნობოთ ის შეუსრულებელი რეკომენდაციები, რომლებზეც უწყება სამომავლოდ გეგმავს მუშაობას.

დანართი:

(1) „პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 37 (ოცდაჩვიდმეტი) გვერდი.

(2) „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისებზე მისაწვდომობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 70 (სამოცდაათი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

საქართველო, 4200, ქ. სიღნაღი, დ.აღმაშენებლის მ.2 ტელ: 0355-23-21-63

Davit Aghmashenebeli square, Signagi, 4200, Georgia Tel: 0355-23-21-63

N 05/396
02/02/2021

396-05-2-202102021611

სქართველოს პარლამენტის წევრს

ქალბატონ ნინო წილოსანს

ქალბატონო ნინო, გიგზავნით პასუხს თქვენს მიერ გამოგზავნილ წერილზე N 633/05 , რომელიც ეხებოდა თქვენი უწყების მიერ ჩატარებული თემატური კვლევების საფუძველზე თვითმმართველობებისათვის გაგზავნილ რეკომენდაციებს.

გიორგი გოგილაშვილი

მუნიციპალიტეტის მერი

სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერია

„პროფესიული განათლება ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისათვის'' თემატური კვლევის საფუძველზე გამოვლენილი მიგნებების შესაბამისად, რის მიხედვითაც თქვენი უწყების მიერ შემუშავდა მუნიციპალიტეტების მიმართ რეკომენდაციები და რომლის მიზანს ქალთა პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა წარმოადგენდა გაცნობებთ:

1. მიმდინარე დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების კონტექსტში აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გათვალისწინება. კერძოდ, ადგილობრივ დონეზე უნდა გადაიჭრას ტრანსპორტირების, მუნიციპალური ტრანსპორტის, ბაღების, სკოლებისა და სასწავლებლების ინფრასტრუქტურული საკითხი.

   სიღნაღის მუნიციპალიტეტის ავტოპარკი წარმოდგენილია კერძო და მუნიციპალური მიკროავტობუსებით, რომელთა დატვირთვა სეზონური ხასიათისაა და ზამთარში (პანდემიის დროს) სრულიად შემცირდა.მუნიციპალიტეტში ორი ავტოსადგურია , რომელთა მდგომარეობა არ არის სახარბიელო. ხშირ შემთხვევაში მუნიციპალური ტრანსპორტი გაუმართავია. აღნიშნული მიკროავტობუსები არ წარმოადგენენ მუნიციპალურ საკუთრებას და მუნიციპალიტეტის მხრიდან არ ხორციელდება მათი ტექნიკური კრიტერიუმების მონიტორინგი. გამომდინარე აქედან, მომსახურების ხარისხი ხშირად არადამაკმაყოფილებელია.

აიპი სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში 24 ბაღია, მათშორის 21 საბავშვო ბაღი არასტანდარტულ შენობაშია განთავსებული. არასაკმარისი ფართი ბაღებში პრობლემად რჩება, რაც შეუძლებელს ხდის შენობებში შესაბამისი ოთახების მოწყობას და საჭირო სივრცეების გამოყოფას ბავშვებისთვის.

მცირე გამონაკლისების გარდა მხოლოდ 3 , საბავშვო ბაღი არის მორგებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე . დაგეგმილია და აქტიურად მიმდინარეობს ბაღებისა და სკოლების ინფრასტურული პრობლემების მოგვარება.

2. საჭიროა ეფექტურად იყოს გამოყენებული ბავშვთა ოთახებზე უკვე არსებული წარმატებული პრაქტიკა (კაჭრეთი, ზუგდიდი) და, ამ მხრივ, მუნიციპალიტეტებმა გამოიყენონ ქალთა ოთახების არსებული რესურსი.

   პროფესიულ განათლებაში ჩართული დედებისთვის ბავშვთა ოთახების არსებობა უმნიშვნელოვანეასია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მერიის შენობაში არსებული „ქალთა ოთახების'' რესურსის გამოყენება მოუხერხებლად მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტორიდან გამომდინარე. მოგახსენებთ ჩვენს მოკრძალებულ აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით:

   - კახეთში მოქმედი „ქალთა ოთახები" განლაგებულია მერიის შენობაში და არ არის ახლოს პროფესიულ სასწავლებლებთან, ამასთანავე კახეთში სულ რამდენიმე პროფესიული სასწავლებელი ფუნქციონირებს და არათანაბარ გადანაწილებასთან გვექნება საქმე, რაც თავის მხრივ ქალთა ოთახების სტანდარტიზაციის პროცესს დაარღვევს.

   -უფრო მნიშვნელოვან საკითხად მიგვაჩნია კვება, რაც ვფიქრობ საჭირო გახდება მშობლის სასწავლო დღის დამთავრებამდე ბავშვისთვის და სანიტარულ- ჰიგიენური ნორმები, რომლისთვისაც ასევე არ არის მზად „ქალთა ოთახები''.

   - ერთ -ერთი მნიშვნელოვანი, ადამიანური რესურსებია, რადგან კახეთში მოქმედი „ქალთა ოთახები" ფუნქციონირებენ მხოლოდ ერთი ადამიანით(გურჯაანის

გამოკლებით, სადაც ორი ადამიანია გამოყოფილი), რომლებსაც შეთავსებული აქვთ გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირის ფუნქცია მოვალეობები და ეკისრებათ სხვადასხვა ვალდებულებები იმის გათვალისწინებით, თუ რომელ სამსახურს ექვემდებარებიან.

ზემოთხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, „ ქალთა ოთახების'' რესურსის გამოყენება ბავშვთა მოვლისათვის შესაძლებელია მაქსიმუმ ერთი საათით დღის განმავლობაში, ამასთან ვერ გახდება სისტემატური და საიმედო დასაყრდენი პროფესიულ განათლებაში ჩართული ქალებისთვის.

3. საჭიროა დაინერგოს სტიპენდიების პრაქტიკა, რაც მეტად გააძლიერებს გოგონებსა და ქალებს პროფესიის დაუფლების ეტაპზე.

სტიპენდიების პრაქტიკა წახალისების მნიშვნელოვან ფორმად მიგვაჩნია, თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტი რომ ცალკეული მუნიციპალიტეტებისაგან სტიპენდიის პრაქტიკის დანერგვა არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს ერთ სასწავლებელში მყოფ და სხადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სტუდენტებს. მიგვაჩნია, რომ ეს პროცესი ცალკეულ მუნიციპალიტეტებმა კი არ უნდა განახორციელონ არამედ უნდა მოხდეს ურთიერთთანამშრომლობით (მაგ. კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების შეთანხმებით).

ამ ეტაპზე, სამწუხაროდ სტიპენდიის დანერგვის საკითხი არ განიხილება.

4. აუცილებელია, შეღავათებისა და უპირატესობის მხრივ გათანბაბრდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები, რაც გაზრდის პროფესიული განათლების პრესტიჟს და გააუმჯობესებს სტუდენტების სოციალურ მდგომარეობას.

რიგ საკითხებში შესაძლებლად მიგვაჩნია ამ რეკომენდაციის შესრულება.

5. პროფესიული სასწავლებლებისთვის აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა (ბიზნესთან თანამშრომლობით), საერთო საცხოვრებლის ქონა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა (ფილიალები), რათა უფრო მიმზიდველი გახდეს პროფესიული განათლება.

დიხ, იმისათვის რომ პროფესიული განათლება უფრო მიმზიდველი გახდეს აუცილებელია დუალური პროგრამების დანერგვა. იმის გათვალისწინებით, რომ დუალური განათლება პროფესიული განათლების ის ფორმაა, სადაც სტუდენტი ორ ადგილას სწავლობს: პროფესიულ სასწავლებელში ის მომავალ პროფესიასთან დაკავშირებულ თეორიულ მასალას შეისწავლის, ხოლო საწარმოში ან კომპანიაში პრაქტიკულად ეუფლება მას. ამ მიდგომის შედეგად სტუდენტი თეორიულთან ერთად პრაქტიკულ ცოდნასაც იღებს და კონკურენტუნარიანი ხდება შრომის ბაზარზე.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სრვისების მისაწვდომობის შესახებ“მოკვლევის ფარგლებში ჩვენი უწყების მიმართ გამოგზავნილი რეკომენდაციების შესახებ გაცნობებთ:

1. განხორციელდეს სატრანსპორტო საშუალებათა და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, საჭიროების შემთხვევაში კი ამ პირთა ინტერესების გათვალისწინებით შეიძინონ ახალი სატრანსპორტო საშუალებები.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში შშმ პირთა საჭიროებებზე მორგებული, მუნიციპალური სატრანსპორტო საშუალებათა შეძენა არ მომხდარა, რაც შეეხება საგზაო ინფრასტრუქტურას, მხოლოდ ნაწილობრივაა ადაპტირებული.

2. დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში ეფექტური აღსრულებისა და ზედამხედველობის მექანიზმი. მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავებისას ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათ შორის ქალების ჩართულობა.

   შშმ პირებისათვის სივრცის მოწყობის პროცესში გარკვეული ზედამხედველობის ფუნქცია თვითმმართველობას გააჩნია, თუმცა სამწუხაროდ არ გვაქვს ადგილობრივ დონეზე მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, კანონმდებლობისა და პროგრამების შემუშავების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ჩართულობის პრაქტიკა.

3. შემუშავდეს მხარდამჭერი პროგრამები შშმ პირების ოჯახის წევრებისთვის.

   სიღნაღის მუნიციპალიტეტში მოქმედმა შშმ პირთა საჭიროებებზე მომუშავე საკონსულტაციო საბჭომ, ამავე სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად 2019წელს ყველა (14) თემში ჩაატარა საჭიროებათა კვლევა. დადგინდა შშმ პირთა რაოდენობა, მათი ოჯახების სოციალური მდგომარეობა, მოხდა სახელმწიფო და ადგილობრივი პროგრამების გაცნობა. კვლევის საფუძველზე სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალურ პაკეტში შევიდა ცვლილება და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და მათი ოჯახებისთვის (474 ბენეფიციარი) გამოიყო ჯამში -92,500ლარი.

   ხდება ასევე შშმ პირთა ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში.

4. მუნიციპალური სპორტული დარბაზები მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

ჩვენი მუნიციპალიტეტი ვერ იამაყებს სპორტული დარბაზების სიუხვით. მუნიციპალიტეტს სულ რამდენიმე სპორტული დარბაზი აქვს. აქედან არც ერთი არ აკმაყოფილებს უნივერსალური დიზაინის პრინციპს. დარბაზები ფუნქციონირებს რომელიმე კონკრეტული სპორტული სახეობის მიმდევრებისთვის რადგან მუნიციპალიტეტს აქვთ ზოგადად როგორც სპორტული ინფრასტრუქტურის ასევე კვალიფიციური პერსონალის პრობლემა.

5. ღია ცის ქვეშ არსებული მუნიციპალური სპორტული კუთხეები (ე.წ. სპორტული დარბაზები ღია ცის ქვეშ) მოერგოს უნივერსალური დიზაინის პრინციპს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში საკმაოდ მწირი სპოტრული კუთხეებია, ძირითადად საფეხბურთო მინი სტადიონების სახით, თუმცა მომავალ წლებში მოსახლეობის მოთხოვნებიდან გამომდინარე იგეგმება ღია ტიპის სპორტული მოედნების მოწყობა, სადაც შესაძლებელი იქნება ზემოთხსენებული რეკომენდაციის გათვალისწინება.